



სამყაროს ევოლუცია

სამყაროს ევოლუცია

## სამყაროს ევოლუცია

### ლექცია 8

ვარსკვლავთშორისი გარემო  
მინიმალური და მაქსიმალური მასის  
ვარსკვლავები, ვარსკვლავების ასაკი

სამყაროს ევოლუცია, აღ. თემამე, 2015

ლექცია/გვერდი: 8/1

### წინა ლექციაში

- ჩვენი გალაქტიკა ირმის ნახტომი
- გალაქტიკის სტრუქტურა და დინამიკა
- გალაქტიკური ქარი
- სფერული გროვები

სამყაროს ევოლუცია, აღ. თემამე, 2015

ლექცია/გვერდი: 8/2

### რამდენი ვარსკვლავი ჩანს ცაში?

ვარსკვლავიერი სიდიდე	ვარსკვლავების რაოდენობა
0	4
1	15
2	48
3	171
4	513
5	1602
6	4800



სამყაროს ევოლუცია, აღ. თემამე, 2015

ლექცია/გვერდი: 8/3


### რამდენი ვარსკვლავი ჩანს ცაში?

დედამიწის ერთი წერტილიდან ფიქსირებულ დროს  
თვალით მოჩანს დაახლოებით ~2400 ვარსკვლავი



## ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავები


ვარსკვლავების განაწილება გალაქტიკურ დისკში  
მასების მიხედვით



## ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავები

წითელი და ყავისფერი ჯუჯა ვარსკვლავები  
შეადგენენ ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავების  
ნახევარზე მეტს.

მათი დანახვა ჩვეულებრივ პირობებში  
შეუძლებელია



ყავისფერი ჯუჯა  
პირველი პირდაპირი  
დაკვირვება: 1989

## მინიმალური მასის ვარსკვლავი

ვარსკვლავის მინიმალური მასა განისაზღვრება იმ  
მინიმალური გრავიტაციის ძალით, რომელიც  
საჭიროა ვარსკვლავის ცენტრში კრიტიკული  
ტემპერატურის მისაღწევად რომ ჩაირთოს  
თერმობირთვული რეაქციები და ობიექტი გახდეს  
მნათობი.

$$M_{\text{მინ}} \sim 50-80 M_{\text{ოუიტერი}}$$

(~ 0.01 მზე)



## მაქსიმალური მასის ვარსკვლავი

გიგანტური მასის ვარსკვლავებს გააჩნიათ  
ზემდლავრი ოპტიკური გამოსხივება;  
გამოსხივების წენევა მოქმედებს ვარსკვლავის გარე  
ფენებზე ცენტრიდან გარე მიმართულებით;

მასის შემდგომი ზრდა შეუძლებელია – ვარსკვლავის  
გარე ფენები იფანტება კოსმოსში

$$M_{\text{მაქ}} \sim 150 - 200 M_{\text{ზვ}}$$

ანომალური მასის ვარსკვლავი:  $265 M_{\text{ზვ}}$

## მაქსიმალური მასის ვარსკვლავი

**ეტა კარინა**

მანძილი დედამიწიდან: 8000 ს.წ.

მასა: 120–150 მზის მასა



## ჰიპერგიგანტი

სპექტრალური კლასი: O

მასა:  $> 100 M_{\odot}$

დიამეტრი:  $\sim 1000 M_{\odot}$


ნათობა:

$\sim 2-40$  მილიონი  $L_{\odot}$

სიცოცხლის

ხანგრძლივობა:


$\sim 1$  მილიარდი წელი



## ვარსკვლავების შიდა სტრუქტურა

მცირე და დიდი ზომის ვარსკვლავების შიდა სტრუქტურა (მოდელი)


გიგანტი



მზე



ჯუჯა



## ლურჯი გიგანტი

სპექტრალური კლასი: O-B

მასა:  $< 100 M_{\odot}$



დიამეტრი:  $\sim 500 M_{\odot}$

ნათობა:  $\sim 10 000 L_{\odot}$

სიცოცხლის

ხანგრძლივობა:

$\sim 2$  მილიარდი წელი



## წითელი გიგანტი

სპექტრალური კლასი: K,M


მასა:  $\sim 10 M_{\odot}$

ნათობა:  $\sim 1\,000 L_{\odot}$

სიცოცხლის

ხანგრძლივობა:

$\sim 1$  მილიარდი წელი



## ძირითადი მიმდევრობის ვარსკვლავი

სპექტრალური კლასი: F,G,K


მასა:  $\sim M_{\odot}$

ნათობა:  $\sim L_{\odot}$

სიცოცხლის


ხანგრძლივობა:

$\sim 10$  მილიარდი წელი



## წითელი გიგანტი

წითელი გიგანტი: მზის მომავალი მდგომარეობა



## წითელი ჯუჯა

სპექტრალური კლასი: M


მასა:  $< 0.5 M_{\odot}$

ნათობა:  $< 0.01 L_{\odot}$


სიცოცხლის

ხანგრძლივობა:

$> 20$  მილიარდი წელი



## წითელი ჯუჯა



## ვარსკვლავების სიცოცხლის ხანგრძლივობა

ვარსკვლავის სიცოცხლის ხანგრძლივობა:

$$T \sim M/L$$

**M** - ვარსკვლავის (საწვავის) მასა


**L** - ვარსკვლავის ნათობა

მასის მატება იწვევს

ვარსკვლავის ნათობის

ზრდას:

$$L \sim M^{3.5}$$




მაღალი მასის ვარსკვლავები

ცოცხლობენ ცოტა ხანს:

$$T \sim M^{-2.5}$$

## წითელი ჯუჯა

წითელი ჯუჯა ვარსკვლავის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თერმობირთვული რეაქციის მიმდინარეობის სიჩქარეზე. დაბალი მასის ვარსკვლავში პროცესი ნელია.




ობიექტის მასა ( $M_{\odot}$ )


## ყავისფერი ჯუჯა

დაბალი მასის ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს p-p თერმობირთვული რეაქციები (შესაძლოა  $d-d$ )

ობიექტები თითქმის არ ასხივებენ


სიცოცხლის ხანგრძლივობა:  
შემოუსაზღვრავი






## იზოლირებული ვარსკვლავი

შესაძლოა ვარსკვლავს ჰქონდეს პლანეტარული სისტემა, მაგრამ თუკი სისტემა შეიცავს მხოლოდ ერთ მნათობს, მაშინ ვარსკვლავი “ერთმაგ სისტემაშია”, ანუ იზოლირებულია




## ორჯერადი სისტემა

ორი ვარსკვლავი ბრუნავს საერთო მასათა ცენტრის გარშემო:



ასიმეტრიული  
ორმაგი სისტემა



სიმეტრიული  
ორმაგი სისტემები


## ორჯერადი სისტემები

**მდგრადი და  
ურთიერთქმედი  
ორმაგი სისტემები**



სირუს  
A და B



მასის მიმოცვლა ურთიერთქმედ ორმაგ სისტემაში



## სამჯერადი სისტემები

სამი ვარსკვლავის კომპაქტური ჯგუფი

ვარსკვლავების  
კინემატიკის  
მაგალითი



სამმაგი სისტემის  
დაკვირვება  
Beta Monocerotis


## პროტო-ვარსკვლავები

ახალგაზრდა ვარსკვლავური ობიექტები:  
ვარსკვლავები ჩამოყალიბების ფაზაში



## ვარსკვლავური ჭავლები

ჭერბიგ-ჰარო ობიექტები:  
მასის აკრეცია ვარსკვლავზე და  
ვარსკვლავური “ჭავლი”




HH47  
5 წლის  
დაკვირვება

## ვარსკვლავთშორისი გარემო

ზეახალის აფეთქებისას სწრაფად მოძრავი ნაწილაკები  
ეჯახება გაუხშოებულ ვარსკვლავთშორისი გარემოს  
ატომებს და იწვევს მაღალსიხშირულ გამოსხივებას

ტიხო ბრაგეს  
ზეახალის  
ნარჩენი დღეს  
(რენტგენის  
გამოსხივება)  
**SN1572**



## ვარსკვლავთშორისი გარემო

გალაქტიკაში ვარსკვლავებს შორის გარემო (“ვაკუუმი”) შევსებულია გაუხშოებული “აირით”.

ცივ არეებში გარემოს სიმკვრივე:

$$10^{12} \text{ მოლეკულა} / 1 \text{ მ}^3. (\text{H}_2)$$

ცხელ იონიზირებულ არეებში გარემოს სიმკვრივე:  
 $100 \text{ ატომი} / 1 \text{ მ}^3 (\text{H})$

თხევადი წყლის სიმკვრივე:  $10^{28} \text{ მოლეკულა} / 1 \text{ მ}^3$


## ვარსკვლავთშორისი გარემო

შემადგენლობა: **99%** აირი, **1%** მტვერი.

წყალბადი: **89%**

ჰელიუმი: **9%**

“მეტალები”: **2%** (Li,K,...)



იონიზირებული  
წყალბადის  
განაწილება

## ვარსკვლავთშორისი გარემო

მზე იმყოფება ვარსკვლავთშორისი გარემოს **ლოკალურ “ბუშტში”**, სადაც გარემოს სიმკვრივე საშუალოზე დაბალია.

ზომა:  $\sim 300$  ს.წ.

სიმკვრივე:


$$50 \text{ ატომი} 1 \text{ მ}^3$$

ზეახალი

ვარსკვლავების


აფეთქების

ნაკვალევი?



## ობიექტების ასაკის შეფასება

ძირითადი მიმდევრობის  
ვარსკვლავი:




თერმობირთვული რეაქციის მიმდინარეობის სიჩქარიდან შეგვიძლია დავადგინოთ რა დრო დასჭირდებოდა ვარსკვლავში არსებული ჰელიუმის სინთეზს (p-p ჯაჭვი);

- რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია ტემპერატურაზე;
- ტემპერატურა დამოკიდებულია ობიექტის მასაზე;

**ასაკის შეფასება დაბალი სიზუსტით**

## დათარიღება ნახშირბადით

$C^{14}$  – ნახშირბადის იზოტოპი  
რადიოაქტიული  
ნახევარდაშლის  
პერიოდი: **5730 წელი**





ატმოსფეროში  $C^{14}$  მუდმივად ჩნდება  
კოსმოსური სხივების გამო; თუკი სხეულმა  
შეწყვიტა ატმოსფეროსთან ნახშირბადის მიმოცვლა,  
მასში  $C^{14}$  რაოდენობა ეცემა;


$C^{14}$  რაოდენობით შეიძლება განსაზღვროთ  
ნახშირბადოვანი სხეულის ასაკი

## დათარიღება ნახშირბადით

ნახშირბად-14  
შევსება და  
სხეულებთან  
მიმოცვლა



სხეულის ასაკის  
დადგენა



## ბირთვული კოსმოქრონოლოგია

ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდის (ნდპ)  
ქიმიურ ელემენტებზე დაკვირვება:

თორიუმ-232 (ნდპ: 14 მილიარდი წელი)



“გაღარიბებული”  
ურანი: U238

ურანი-238 (ნდპ: 4.47 მილიარდი წელი)

რადიოაქტიული დაშლის ჯაჭვის  
შედეგი: ტყვია (Pb-208)

ობიექტების ასაკის შეფასება რადიოაქტიული  
დათარიღების მეთოდით

## ბირთვული კოსმოქრონოლოგია

იშვიათი ქიმიური ელემენტების ბირთვული  
დაშლის სიჩქარის ანალიზი

შედეგები:

**მზე:**  $4.75 \pm 0.02$  მილიარდი წელი

ჩვენი

გალაქტიკის დისკი:  $8.8 \pm 0.02$  მილიარდი წელი  
ვარსკვლავები ჰალოში:  $\sim 12$  მილიარდი წელი

ჩვენი გალაქტიკის დისკი ჩამოყალიბდა ცენტრსა და  
ჰალოზე უფრო გვიან

## დათარიღება თეთრი ჯუჯებით

თეთრი ჯუჯა ანათებს სითბური ენერგიის ხარჯზე;  
დროთა განმავლობაში ობიექტი ცივდება, ეცემა  
ზედაპირული ტემპერატურა;

თუკი დაახლოებით ვიცით თეთრი ჯუჯა  
ვარსკვლავის ზედაპირული ტემპერატურა  
დაბადებისას ( $100\,000\text{ K}$ ), დავადგენთ მის ასაკს


შედარებით ნაკლებად ზუსტი მეთოდი

სფერული გროვა M4-ის ასაკი:  $12.7 \pm 0.7$  მლრდ. წელი

## გალაქტიკის “სიცოცხლის ზონა”

**ცენტრთან ახლოს:** მაღალენერგეტიკული გამოსხივება,  
სიცოცხლის გამანადგურებელი რადიაცია

**ცენტრიდან შორს:** მძიმე ქიმიური ელემენტების  
ნაკლებობა (მაგ. ნახშირბადი)



საშუალედო არე:

“სიცოცხლის ზონა”

## გალაქტიკის “სიცოცხლის ზონა”

სიცოცხლის ზონა გიგანტურ სპირალურ გალაქტიკაში



[www.tevza.org/home/course/universe2015](http://www.tevza.org/home/course/universe2015)

J. Hester, B. Smith, G. Blumenthal, L. Kay, H. Voss,  
“21st Century Astronomy” (2010)

ქვეთავები 15.2, 16.2

J. Fix “Astronomy Journey of the Cosmic Frontier”,  
(2008)

ქვეთავები 22.1

ასტეროიდებთან დედამიწის შეჯახების საფრთხის აქტუალობა  
[tongal.com/project/NASAsteroidGrandChallenge/](http://tongal.com/project/NASAsteroidGrandChallenge/)

- 1) **Detection** (იდეა, 250\$, 07.11.2015)
- 2) **Characterization** (იდეა, 250\$, 07.11.2015)
- 3) **Mitigation** (იდეა, 250\$, 07.11.2015)
- 4) **Risk** (იდეა, 250\$, 07.11.2015)